საქმე №2204-25 **22 აპრილი 2025 წელი**

ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირის“ სააპელაციო კომისიის

გადაწყვეტილება

კომისიის შემადგენლობა - რევაზ ბერიძე, ირაკლი კუჭავა, ბერდია ახალბედაშვილი, ანა გვასალია, სალომე გულუა

საჩივრის ავტორი - ა(ა)იპ რაგბის კლუბი „რუსთავის ხარები“ (შემდგომში „კლუბი“)

მოთამაშე - ანარე ტუიტაი

მოწინააღმდეგე მხარე - ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირის“ (შემდგომში - „სრკ“) სადისციპლინო კომისია (შემდგომში - „სადისციპლინო კომისია“)

განხილვის ფორმა: ზეპირი მოსმენის გარეშე

გასაჩივრებული გადაწყვეტილება:

სადისციპლინო კომისიის 2025 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც მოთამაშე, სადისციპლინო დარღვევისთვის დისკვალიფიცირებულ იქნა 3 თამაშით (შემდგომში „გადაწყვეტილება“);

აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს რაგბის კავშირის სააპელაციო კომისიის ელ. ფოსტაზე appeals@rugby.ge 2025 წლის 17 აპრილს შემოვიდა საჩივარი, რომლითაც მოთხოვნილია სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება;
2. 2025 წლის 13 აპრილს ქალაქ ქუთაისში (აია არენა) დიდი ათის ჩემპიონატის ფარგლებში გაიმართა თამაში ქუთაისის „არესი“– რუსთავის „ხარები“ (შემდგომში „მატჩი“ ან/და „თამაში“);
3. თამაშის მსვლელობისას, რუსთავის „ხარები“–ს მოთამაშემ მეტოქე შებოჭა სახიფათოდ, მხრით მოახდინა პირდაპირი კონტაქტი მეტოქის სახის არეში, რასაც მოყვა მეტოქის მსუბუქი დაზიანება. მატჩის მსაჯმა დარღვევის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება გამოეყენებინა მოთამაშის მიმართ წითელი ბარათი. მოთამაშეს თამაშის დროს არ გაუპროტესტებია წითელი ბარათი;
4. დარღვევა გამოწვეული იყო არასწორად შესრულებული ბოჭვით. ვიდეომასალის ანალიზის დროს, ნათლად ჩანს, რომ მბოჭავი მოთამაშე (ანარე ტუიტაი) საკმარისად არ არის მოხრილი ლეგალური ბოჭვის

შესასრულებლად, სხეულის მოძრაობა არის ქვემოდან ზემოთ მიმართული (დაგვიანებული ბოჭვის გამო) და მარცხენა მხრის წინა მოძრაობით, მხრით სახეში ეჯახება ბურთიან მოწინააღმდეგეს, რომელიც მსუბუქად დაზიანდა. დაშავებულმა მოთამაშემ სამედიცინო შემოწმების შემდეგ გააგრძელა თამაში;
5. მსაჯმა გააძევა დამრღვევი მოთამაშე, ვიდეო გადამოწმების შემდეგ;
6. მოთამაშემ აღიარა დარღვევა და წუხილი გამოთქვა მომხდარის გამო. მოთამაშეს წინამდებარე სადისციპლინო საქმის განხილვამდე აქვს სუფთა და სამაგალითო სადისციპლინო ისტორია;
7. სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებით, მოთამაშე არასწორი ბოჭვის მიზეზით, დისკვალიფიცირებულ იქნა 3 (სამი) კვირის/თამაშის ვადით. დარღვევის ხარისხი და დისკვალიფიკაცია შეფასდა, სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი N1-ის 9.13 პუნქტის შესაბამისად და გათვალისწინებულ იქნა შემამსუბუქებელი გარემოება და შუა ზღვრით განსაზღვრული საწყისი სანქცია 6 (ექვსი) კვირა/თამაში შემცირდა 3-მდე.

სამოტივაციო ნაწილი

1. საჩივრის დეტალური შესწავლისა და მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, სააპელაციო კომისია უდავო ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნევს, რომ მატჩის მიმდინარეობისას დაირღვა მოთამაშის მხრიდან თამაშის წესები –მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა არამართებულ ბოჭვას. მოთამაშემ აღიარა დარღვევის ფაქტი და მომხდარის გამო გამოხატა წუხილი, დარღვევის ფაქტი ასევე აშკარად ჩანს ვიდეომასალაზე;
2. კომისია მართებულად მიიჩნევს კიდევ ერთხელ გაამახვილოს ყურადღება რაგბის, როგორც სპორტის ერთ-ერთი სახეობის მნიშვნელობასა და პრინციპებზე. რაგბი ღირსეული ადამიანების სპორტად მიიჩნევა და მის ფუნდამენტალურ ფასეულობას წარმოადგენს პატივისცემა თანაგუნდელების, მოწინააღმდეგე მოთამაშეების, მატჩის ოფიციალური პირებისა და მაყურებლის მიმართ, რაც მეტად განასხვავებს რაგბს სპორტის სხვა სახეობებისგან. განსახილველ შემთხვევაში მოთამაშემ ღირსეულად აღიარა დარღვევა, რომელიც გადაწყვეტილებით დაკვალიფიცირდა როგორც გაუფრთხილებელი/წინდაუხედავი ქმედება. კომისიამ გადაწყვეტილებაში საკმაოდ მკაფიო განმარტება გააკეთა დარღვევის კვალიფიკაციის შესახებ (იხ. სადისციპლინო გადაწყვეტილების მსჯელობის 1-ლი პუნქტი), რომელსაც სრულად იზიარებს სააპელაციო კომისია;
3. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ი [მსოფლიო რაგბის სანქციები თამაშის წესების დარღვევისას] განსაზღვრავს დარღვევისთვის სანქციებს, რომლის შესაბამისად მოქმედებს სადისციპლინო კომისია. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია შეაფასოს დაკისრებული სახდელის რელევანტურობა და მისი გავლენა სამომავლოდ მოთამაშის კარიერაზე და ამავდროულად გაითვალისწინოს მოთამაშის სუფთა ისტორია. საკუთარი დისკრეციის ფარგლებში კი უფლებამოსილია შეცვალოს ან ძალაში დატოვოს სანქცია. ასევე კომისია განმარტავს, რომ სანქცია უნდა ატარებდეს ქმედების პრევენციის ფუნქციას და თუ ის იქნება არაგონივრულად მკაცრი ან/და არაგონივრულად მსუბუქი, მან შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს მოთამაშის არასპორტული/არაეთიკური საქციელის გამოსწორების გზაზე;
4. სააპელაციო კომისია სრულად ეთანხმება სადისციპლინო კომისიიდ მსჯელობას, რომ დარღვევა არის აშკარა და იყო არასწორად შესრულებული ბოჭვა.კერძოდ:
ა. ანარე ტუიტაი ბოჭვის მომენტში საკმარისად არ იყო მოხრილი ლეგალური ბოჭვის შესასრულებლად.
ბ. მბოჭავის სხეულის მოძრაობა მიმართული იყო ქვევიდან ზევით;
გ. ანარე ტუიტაის გააჩნდა საკმარისი დრო, სივრცე და მხედველობის არე, რათა მომზადებულიყო ბოჭვის შესასრულებლად.
ასევე ნათლად ჩანს ვიდეოში პირდაპირი კონტაქტი ანარე ტუიტაის მკლავის ზედა ნაწილით მოწინააღმდეგის სახესთან (ყბაში), რამაც გამოიწვია მოწინააღმდეგის დავარდნა.
5. სააპელაციო კომისია მოცემულ შემთხვევაში მიიჩნევს, რომ მოთამაშის სუფთა სადისციპლინო ისტორიის გათვალისწინება გონივრული და მნიშვნელოვანია სანქციის შეფარდებისთვის. კომისიას მართებულად მიაჩნია დაკისრებული სანქცია გადააკვალიფიციროს როგორც პირობითი, რაც გულისხმობს შემდეგს:
სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებით დაკისრებული 3 (სამი) კვირიანი/თამაშიანი სანქცია ძალაში შევა და ამოქმედდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო 1 (ერთი) წლის განმავლობაში მოთამაშეს ექნება ნებისმიერი სახის და სიმძიმის სადისციპლინო დარღვევა. თუ 1 (ერთი) წლის ვადაში მოთამაშე დაარღვევს რაგბის თამაშის წესებს (გარდა ჩვეულებრივი სათამაშო დარღვევისა), დაკისრებულ ახალ

სანქციას დაემატება გადაწყვეტილებით დაკისრებული 3 (სამი) კვირიანი/თამაშიანი შეზღუდვა. თუ მოთამაშეს 1 (ერთი) წლის ვადაში არ გამოუვლინდება დამატებითი დარღვევა, გადაწყვეტილებით დაკისრებული სადისციპლინო სახდელი გაქარწყლდება.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

სააპელაციო კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

1. სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, დაკისრებული 3 (სამი) კვირიანი/თამაშიანი სანქცია დარჩეს პირობითად ძალაში, თუ მომდევნო 1 (ერთი) წლის ვადაში მოთამაშეს ექნება ნებისმიერი სახის და სიმძიმის სადისციპლინო დარღვევა. დარღვევის შემთხვევაში, ახალ სადისციპლინო სანქციას დაემატება გადაწყვეტილებით დაკისრებული 3 (სამი) კვირიანი/თამაშიანი, თამაშის შეზღუდვა;
2. იმ შემთხვევაში, თუ 1 (ერთი) წლის ვადის განმავლობაში მოთამაშეს არ გამოუვლინდება დარღვევა, გადაწყვეტილებით დაკისრებული სადისციპლინო სახდელი (3 კვირიანი/თამაშის შეზღუდვა) გაქარწყლდებულად ჩაითვლება;
3. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
4. სააპელაციო კომისიის დებულების შესაბამისად, გადახდილი სადეპოზიტო თანხა ექვემდებარება სრულად დაბრუნებას ამ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 (ერთი) წლის გასვლის შემდეგ, თუ მოთამაშეს არ ექნება ახალი სადისციპლინო დარღვევა.

სააპელაციო კომისიის წევრები

სალომე გულუა _____

ირაკლი კუჭავა _____

ანა გვასალია _____

ბერდია ახალბედაშვილი _____

სააპელაციო კომისიის თავმჯდომარე

რევაზ ბერიძე _____